ახალი ხარაგაული

№447 (3) 4 მარტი, 2022 წ.

რუსეთის სამხედრო ძალები უკრაინაში რამდენიმე დღეა, საომარ მოქმედებებს ატარებენ (დიდება უკრაინას, დიდება გმირებს!)

24 თებერვალს რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. ბრძოლები უკრაინის რამდენიმე ოლქში მიმდინარეობს. უკრაინის მასშტაბით საომარი მდგომარეობაა გამოცხადებული. ხელისუფლება მოსახლეობას სახლში დარჩენისა და სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს. უკრაინის სამხედრო ობიექტებზე, რუსეთის სარაკეტო იერიშების შედეგად, დაღუპულია უკრაინის არაერთი მშვიდობიანი მოქალაქე. რუს სამხედროებს მწყობრიდან გამოჰყავთ უკრაინის სამხედრო ინფრასტრუქტურა, აეროდრომები, აეროპორტები, საავადმყოფოები,

სკოლები, საბავშვო ბაღები, საცხოვრებელი კორპუსები. მსხვერპლი საკმაოდ დიდია, დაღუპულთა შორის არიან ბავშვები. შეიძლება ითქვას, რომ აგრესორის ამბიციამ აპოგეას მიაღწია-ნგრევისა და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის პოლიგონად იქცა უკრაინა. ვიცით, რომ ომის შემდგომი პერიოდი აღადგენს ნგრევით მიყენებულ ზარალს, მაგრამ რა ეშველება ჩამქრალ სიცოცხლეს? რამდენი გაუშლელი ყვავილი ჩაიფერფლა, რამდენი ნიჭი გაიყინა და გაქრა უკვალოდ...

ვინარჩუნებთ რწმენას და დიდ იმედს ვიტოვებთ, რომ მშვიდობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციები დროულად შეძლებენ აგრესორთა ზრახვების აღკვეთას. მშვიდობა და გამარჯვება ჩვენს მოძმე უკრაინელ ხალხს!

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად, უკრაინელთა გვერდითაა. ჩვენ გვაქვს 2008 წლის აგვისტოს ომის მწარე გამოცდილება და, შესაძლებლობის ფარგლებში, საქართველოს ხელისუფლება ყველანაირი ჰუმანური გზით განაგრძობს უკრაინელთა მხარდაჭერას. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, გამოიყო ერთი მილიონი ლარი, რომლითაც დაზარალებული მოსახლეობისათვის ფარმაცევტული პროდუქტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვა მოხდება.

უკრაინას მხარდაჭერას უცხადებს ხარაგაულის მერია. მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, უკრაინელი ხალხის დახმარების მიზნით, მერის სარეზერვო ფონდიდან თანხები გამოიყო. გარდა ამისა, დაიწყო ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვება. ხარაგაულელებს, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვთ, არამალფუჭებადი საკვები, მედიკამენტები და სხვა სამედიცინო საშუალებები მოიტანონ ხარაგაულის მერიაში. შემდგომ კი ჰუმანიტარული ტვირთი ხარაგაულიდან, საქართველოს სახელით, უკრაინაში გაიგზავნება.

ხარაგაულის სოფლებში გზების რეაბილიტაციის მიზნით გამოცხადებული ტენდერები დასრულდა

ხარაგაულში რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების განხორციელება იწყება. დასრულდა მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერები, რომელიც მუნიციპალიტეტის სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ითვალისწინებს. ამჯერად მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა ხელი რვა ხელშეკრულებას მოაწერა, რომლის თანახმადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება. „2022 წელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კუთხით სტარტს იღებს. პრიორიტეტი კვლავ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა. რეგიონული განვითარების ფონდიდან პირველ ეტაპზე გამოყოფილი 2 775 762 ლარი სწორედ ამ მიმართულებით დაიხარჯება. მათ შორის, პრიორიტეტი მიენიჭა გარდამავალ პროექტებს, რომლებიც 2021 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს. ახლო მომავალში კვლავ ველოდებით დამატებით თანხებს, რომელიც ახალი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას მოგვცემს."-აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

უახლოეს დღეებში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება:

ვერტყვილაში - გოგიაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება- 114 227 ათასი ლარი;

ლელვანში - ქვიანთის საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება-150 644 ათასი ლარი;

ლაშეში - ცქიტიშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება -129 920 ათასი ლარი;

ბაზალეთში- მესხების საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება - 120 021 ათასი ლარი;

ბორითში - გორგაძეებისა და ფაბრიკის უბნების გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება -36 853 ათასი ლარი;

ლელვანში- ქვიანთის საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება- 50 077 ათასი ლარი;

უბისაში - საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება-63 018 ათასი ლარი;

ლელვანში- ქვიანთის საუბნო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი, პროექტის ღირებულება -178 700 ათასი ლარი;

ხევში - საუბნო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება-130 085 ათასი ლარი.

ხარაგაულის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია იწყება

ხარაგაულის მერიამ, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებლად, დაბა ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაციის პროექტი წარადგინა. საბჭომ აღნიშნული პროექტი მოიწონა და სამშენებლო სამუშაოებისათვის თანხები უახლოეს პერიოდში გამოიყოფა. ამ ეტაპზე კი, ხარაგაულის მერიის დაფინანსებით, წინასაპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც შპს „პროჯექტ კომპანი" ახორციელებს.

კომპანიის წარმომადგენლებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი და მერის მოადგილე დავით დევდარიანი შეხვდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, პროექტანტებთან ერთად განიხილეს, თუ როგორი უნდა იყოს განახლებული პარკის იერსახე. აღინიშნა, რომ პარკის ტერიტორიაზე განთავსდება ბავშვთა ატრაქციონები, მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები და გარე განათებები, ასევე სხვა-

დასხვა ტიპის სპორტული, კულტურული და რეკრეაციული სივრცეები. გარდა ამისა, პარკის მთელ ტერიტორიაზე შესრულდება გამწვანების სამუშაოები.

ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, პოზიციაა, პროექტირების პროცესში დაცული იყოს ღიაობის პრინციპი. მისივე ინფორმაციით, მოეწყობა პროექტის საჯარო განხილვა და საზოგადოებას მიეცემა საშუალება, თავიანთი ხედვები და შენიშვნები წარმოადგინონ.

„ხარაგაულის მერია ეცდება, მაქსიმალურად მაღალი სტანდარტებით განხორციელდეს პროექტის შესყიდვა. მნიშვნელოვანია, რომ სწორად იყოს დამუშავებული ტექნიკური მოთხოვნები. შემდეგ ეტაპზე კი ვისურვებდი, ტენდერის საშუალებით გამოვლინდეს პასუხისმგებლობის მქონე სამშენებლო კომპანია, რომელიც მაღალ დონეზე შეასრულებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს და ხარაგაულის ცენტრალურ პარკს ძველებურად მიმზიდველსა და გამორჩეულს გახდის."-აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

შეგახსენებთ, რომ პროექტი მარტის ბოლოსთვის მომზადდება, რის შემდეგაც ტენდერი სამშენებლო სამუშაოებზე გამოცხადდება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 890 000 ლარი გამოეყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის მიზნით, საკონსულტაციო შეხვედრები დაიწყო.

პირველი შეხვედრა ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა, რომელსაც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, ხუნევის მაჟორიტარი დეპუტატი ლენა აბაშიძე, მერის წარმომადგენელი ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში კახა ლომიძე და საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ოთარ ლურსმანაშვილი დაესწრნენ.

მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ძირითად პრიორიტეტებზე ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ თითოეული სოფლისათვის გამოყოფილი

თანხები მოქალაქეთა უშუალო ჩართულობით განიკარგება და მათ მიერ შერჩეული პროექტების განხორციელებას მოხმარდება. ვარლამ ჭიპაშვილმა აქვე დასძინა, რომ ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, ზოგიერთ პროექტზე თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდება.

შეხვედრაზე, მოსახლეობის მხრიდან, რამდენიმე პრიორიტეტული საკითხი გამოიკვეთა და მათ მიერ წარმოდგენილ თითოეულ საპროექტო წინადადებაზე ღია კენჭისყრა ჩატარდა. ხმათა უმრავლესობით შემდეგი პროექტები შეირჩა:

ხუნევი - სასაფლაოსა და ამბულატორიის ეზოს შემოღობვა, ხიდ-ბოგირის შეკეთება, გარე განათების სისტემისა და კალოს უბანში სანიაღვრეს მოწყობა;

ვერტყვიჭალა - გოგოლაძეების უბანში გზის მობეტონება, სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობა, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ღობის შეკეთება, სოფლის ცენტრალურ გზაზე სანიაღვრე არხის გაკეთება, გარე განათების სისტემის მოწყობა;

ბჟინევი - სასაფლაოს შემოღობვა;

ვერტყვილა - გარე განათების სიტემისა და სანიაღვრე არხის მოწყობა, საყრდენი კედლის აშენება, სასაფლაოს ეზოს შემოღობვა;

გედსამანია-წყლის სათავე ნაგებობის შეკეთება, ეკლესიის ეზოს შემოღობვა, ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია, გარე განათების სისტემის მოწყობა, რიკაძეების საუბნო გზის შეკეთება.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 890 000 ლარი გამოეყო. მოსახლეობასთან შეხვედრები 14 მარტს დასრულდება და მერია საპროექტო წინადადებებს მოსაწონებლად საკრებულოს წარუდგენს. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებულ პროექტებზე მომზადდება ხარჯთაღრიცხვები, რის შემდეგაც ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიწყება.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხუნევში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნევში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. სამშენებლო სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, ხუნევის მაჟორიტარი დეპუტატი ლენა აბაშიძე და მერის წარმომადგენელი ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში კახა ლომიძე.

ვარლამ ჭიპაშვილის განმარტებით, ხუნევის ამჟამინდელი ბაღი შესაბამის სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა და, სწორედ ამიტომ, დაიგეგმა ახლის აშენება. მისივე ინფორმაციით, პროექტი „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა.

„ხუნევის საბავშვო ბაღი არის ერთადერთი ძველი შენობა, რომელიც შემოგვრჩა და სულ მალე აქ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი დაწესებულება გვექნება. ახალი საბავშვო ბაღი 30 აღსაზრდელზე იქნება გათვლილი და მშენებლობა მიმდინარე წელს დასრულდება. აღსანიშნავია, რომ ბოლო 9 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში 15 ახალი ბაღი აშენდა “,-განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ხუნევის საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის 619 170 ლარია გათვალისწინებული და სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ასრულებს.

ეკა შავიძე

„წიგნით და მხოლოდ წიგნით“...

(ხარაგაულელთა საბიბლიოთეკო ცხოვრების შთამგეჭდავი ეპიზოდები პოპულარული ჟურნალის ფურცლებზე)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ინტელექტუალური, ერუდირებული და ნიგნიერი საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ 2000 წლიდან გამოიცემა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“.

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. იგი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს.

გამოცემიდან უმოკლეს დროში ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ გახდა ძალზე პოპულარული არა მარტო საბიბლიოთეკო სფეროს სპეციალისტთათვის, არამედ ფართო მკითხველი საზოგადოებისთვისაც.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან ჟურნალში იბეჭდება საინტერესო ისტორიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბიბლიოთეკების დაარსებისა და შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ, ცნობილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიის საინტერესო ეპიზოდები, მეთოდური რჩევები და სხვა უამრავი...

ძვირფასო მკითხველო!

ძალზე სასიამოვნოა, რომ კარგა ხანია, რაც ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკას მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს აღნიშნულ ჟურნალთან და ამავდროულად არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი. ბევრ ჩვენგანს, ბუნებრივია, დიდი სიხარული განაცდევინა ჟურნალის 2021 წლის მესამე ნომერმა, რომლის გარეკანზეც ჩვენი დიდი ისტორიის მშვენება- უბისის მონასტრის კოშკი და მონასტრის წიგნთსაცავია, ხოლო ბოლო გვერდზე- რელიკვიად ქცეული ხარაგაულის საბიბლიოთეკო ყოფის ამსახველი უნიკალური ფოტოები...

ჟურნალის მეოთხე გვერდზე ვხვდებით რედაქტორ ქალბატონ მაია მიქაბერიძეს, რომელიც წერს: „მოცემულ ნომერში მკითხველი გაეცნობა ხარაგაულის რაიონის საბიბლიოთეკო ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს, მის ისტორიას, რომელიც არსებობის 120 წელს ითვლის და, რომელიც სავსეა შრომითი მიღწევებით, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვითა და განახლებისკენ მუდმივი სწრაფვით.

ვულოცავთ ჩვენს ხარაგაულელ კოლეგებს საპატიო საიუბილეო თარიღს!“

ქალბატონი რედაქტორის დიდი დაინტერესების შედეგია სტატია „ხარაგაულის ბიბლიოთეკა“, რუბრიკით -საქართველოს ბიბლიოთეკები: დაარსების ისტორია და დღევანდელობა, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალის 2021 წლის მესამე ნომერში. მისი ავტორია ხარაგაულის ა (ა) იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ საბიბლიოთეკო განყოფილებათა ხელმძღვანელი ქალბატონი ნანა ლურსმანაშვილი.



გვიხარია, რომ ხარაგაულის საბიბლიოთეკო ცხოვრებას 120- წლიანი ისტორია აქვს, თუმცა ჟურნალის გარეკანზე დატანილი ფოტო-უბისის მონასტრის კოშკი და მონასტრის წიგთნსაცავი-მიგვანიშნებს, რომ ჩვენს წინაპრებს გარდასულ საუკუნეებშიც კარგად ესმოდათ წიგნთან ურთიერთობის აუცილებლობა.

ამ სურათმა შეუძლებელია, არ გაგვახსენოს ეპიზოდი გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“: როცა „მამამან გრიგოლ სარწმუნოებისაებრ მეფისა აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბეი, და ილარიონ ვინმე, იერუსალემით მოსრული, სარწმუნოი მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად, რამეთუ ხანძთით წარყოლილი იყო იგი თეოდორეს და ქრისტეფორეს თანა და აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი და მამამანცა გრიგოლ თვსნი წიგნნი, რომელ აქუნდეს, და-ვე-უტევნა მონასტერსა მას.“

***

კულტურისა და ხელოვნების ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილებათა ხელმძღვანელი ქალბატონი ნანა ლურსმანაშვილი ჩვეული პასუხისმგებლობით მოეკიდა ჟურნალისთვის სტატიის მომზადებას, მოიძია საჭირო ისტორიული წყაროები და გააცოცხლა გარდასულ დღეთა საინტერესო ეპიზოდები, რომლებზეც შემდგომში საიმედოდ დაეფუძნა წიგნთან და წიგნიერებასთან დაკავშირებული ხარაგაულის დღევანდელი ბიბლიოთეკების სისხლსავსე ცხოვრება.

სტატიაში დიდი რუდუნებითი შრომით წარმოჩენილია ღვაწლი იმ ადამიანებისა, რომელთაც ძალა და ენერგია არ დაიშურეს კულტურის ამ დიდებული კერების დასაფუძნებლად და გასაძლიერებლად.

სტატიაში მოცემული ყველა ეპიზოდი და ფაქტი ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ გაზეთის ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას, დეტალურად წარმოვაჩინოთ ყოველივე.

საკითხით დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია, ეწვიოს ხარაგაულსა და მის სოფლებში არსებულ ნებისმიერ ბიბლიოთეკას და დასახელებული ჟურნალით გაეცნოს ამ საინტერესო სტატიას, რომელშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის აღნუსხული ხარაგაულის საბიბლიოთეკო ყოფის დეტალები მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან დღევანდელი დღეების ჩათვლით; გაანალიზებულია სხვადასხვა პერიოდის ქართულ პრესაში მოცემული ინფორმაციები, იმ დადებითი და ხშირად ნეგატიური ამბების შესახებ, რომლებიც არაერთხელ იჩენდა თავს ენთუზიასტ ადამიანთა მიზანმიმართულ მუშაობაში.

სტატიაში თვალნათლივ ჩანს, თუ როგორი ოპერატიულობით მოახერხა ავტორმა, რომ პატივგებისა და მადლიერების გარეშე არ დაეტოვებინა საბიბლიოთეკო ცხოვრების დიდი არმიის არც მეთაურები და არც რიგითი ჯარისკაცები...

***

როგორც სტატიაში ვკითხულობთ, პირველი ბიბლიოთეკა ხარაგაულში 1902 წელს გაიხსნა. ოთხი ათეული წლის შემდეგ, 1951 წლის პირველ სექტემბერს, გაიხსნა საბავშვო ბიბლიოთეკა რომლის გამგედ დაინიშნა ვერა წერეთელი. რაიონის ბიბლიოთეკას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ და თავიანთი კვალი აღბეჭდეს: მარო მანჯავიძემ, ვასასი თხელიძემ, ლილი ბაქრაძემ...

1995 წლის ოქტომბრიდან ხარაგაულის საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორად დაინიშნა იზა ვეფხვაძე.

გთავაზობთ ამონარიდებს სტატიიდან:

„იზა ვეფხვაძის თაოსნობით ბიბლიოთეკაში დაარსდა ლიტერატურული სალონი და არაერთი ღონისძიება გაიმართა. მალევე აღნიშნული სალონი გადაკეთდა რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულ თეატრად, რომელსაც 2003 წელს კულტურის სამინისტროს მიერ სახალხო თეატრის წოდება მიენიჭა. რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო თეატრის საქმიანობას, რომელსაც იზა ვეფხვაძე უდგას სათავეში, სრულიად საქართველო იცნობს. XX საუკუნის 90-იან წლებში საბიბლიოთეკო დარგში აქტიური და წარმატებული საქმიანობისათვის ღირსების ორდენებით დაჯილდოვდნენ: იზა ვეფხვაძე და ჟუჟუნა შველიძე, ხოლო ღირსების მედლით-საბავშვო განყოფილების გამგე ვერა წერეთელი.

რაიონში ყოველწლიურად იზრდებოდა ბიბლიოთეკების რიცხვი, წიგნადი ფონდსა და მკითხველთა რაოდენობა. 1977 წელს მოხდა საბიბლიოთეკო სისტემის ცენტრალიზაცია. 1989 წლიდან საბიბლიოთეკო სისტემაში დაიწყო სერიოზული უკანსვლა: სოფლად გაუქმდა ბიბლიოთეკები, მოხდა მათი შეერთება. 1995 წლისათვის ბიბლიოთეკების რიცხვი 64-დან 25-მდე შემცირდა. 2002 წლისათვის ცენტრალიზებული წიგნადი ფონდი შეადგენდა 225.000 ეგზემპლარს.

2002-2003 წლებში, თბილისის შემდეგ, ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეიქმნა პირველი საინფორმაციო ცენტრი და ბიბლიოთეკა აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით. 2004 წელს ბიბლიოთეკის დირექტორი იზა ვეფხვაძე, როგორც ამ დარგის საუკეთესო სპეციალისტი, სტაჟირებით მივლინებულ იქნა აშშ ჯორჯიის შტატში, საბიბლიოთეკო გამოცდილების გაზიარებისა და შესწავლის მიზნით.“

***

სხვადასხვა დროს ხარაგაულის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები იყვნენ: ბესიკ სახვაძე, ნიკოლოზ მაჭავარიანი, ბათუ კიკნაძე და ნანა ლურსმანაშვილი. ამჟამად ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა ა(ა) იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ დაქვემდებარებაშია, რომლის დირექტორი გახლავთ ნიკოლოზ მაჭავარიანი. რაც შეეხება საბიბლიოთეკო განყოფილებას, მას ნანა ლურსმანაშვილი ხელმძღვანელობს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წლების განმავლობაში დღის წესრიგში იდგა ბიბლიოთეკის გაფართოების საკითხი. ბიბლიოთეკას არ ჰქონდა ღონისძიებების ჩასატარებლად შესაფერისი სამკითხველო დარბაზი, ასევე სივიწროვე იყო წიგნთსაცავში. ამ კუთხით რეალური ნაბიჯი გადაიდგა 2014 წელს, როდესაც მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინიციატივით, ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიბლიოთეკა აშენდა. 2016 წლის აგვისტოში ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა გადავიდა ახალ შენობაში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ბიბლიოთეკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ამჟამად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 25 ბიბლიოთეკაა: ცენტრალური ბიბლიოთეკა, საბავშვო და პატარა ხარაგაულის განყოფილებები, ლაშის, ვერტყვიჭალის, ბორითის, ხევის, ნადაბურის, ღორეშის, სარგვეშის, საბის, წყალაფორეთის, ხიდრის, კიცხის, თეთრაწყაროს, ფარცხნალის, საღანძილის, წიფის, მოლითის, ვახანის, ლეღვნის, მარელისის, ბაზალეთის, ვარძიის და ზვარის სასოფლო განყოფილებები.

გაზრდილ (ხარაგაულის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 19 6590 ეგზემპლარით განისაზღვრება, ხოლო მკითხველთა რაოდენობა 4030-ზე მეტია) ფონდთან და ტექნიკურ აღჭურვილობასთან ერთად, უპირველესი მაინც ის ადამიანები არიან, რომლებსაც უშუალო ურთიერთობა აქვთ მკითხველებთან. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ისინი ღირსეულად აგრძელებენ თაობათა ტრადიციებს და ერთგულად ემსახურებიან მეტად საპატიო საქმეს. ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა დღეს არის მრავალფუნქციური დაწესებულება, რომლის შემოქმედი კოლექტივი ყველაფერს აკეთებს, რომ მკითხველს მის კედლებში მიუხაროდეს.

როგორც ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროს, კორონავირუსის პანდემიამ საბიბლიოთეკო სფეროსაც უარი ათქმევინა ბევრ კულტურულ -საგანმანათლებლო ღონისძიებათა განხორციელებაზე.

იმედი გვაქვს, მალე დავამარცხებთ ადამიანთა სიცოცხლის ამ საშინელ მტერს და ბიბლიოთეკები შეძლებენ აქტიური შემოქმედებითი გზებით სვლას, იმ სიმდიდრის გამოყენებას, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის წიგნთსაცავებშია დავანებული, რასაც ვერავითარი სხვაგვარი სიმდიდრე ვერ შეცვლის. წიგნი და წიგნთან სიახლოვეა სამომავლო ცხოვრების ორიენტირი. მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი გალაკტიონის რჩევა:

„უნდა ავმაღლდეთ გარეთ,
უნდა განვმტკიცდეთ შიგნით-
თუ სადმე წახვალ არედ,
წიგნით და მხოლოდ წიგნით!“

მერი გიორგიძე

მიმდინარე წელს მრავალფუნქციური კულტურული ღონისძიებების განხორციელება იგეგმება

„კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“ პანდემიის მიუხედავად აქტიურად აგრძელებს მუშაობას და წელს საინტერესო პროექტების განხორციელებას გეგმავს. ცენტრის დირექტორის, ნიკოლოზ მაჭავარიანის, ინფორმაციით, საბიბლიოთეკო გაერთიანებას შარშან 4000-მდე მკითხველი ჰყავდა და ახალი ლიტერატურით მომარაგდა წინგთსაცავი.

„პანდემიის ორწლიანმა პერიოდმა და არსებულმა შეზღუდვებმა ბევრი მიმართულებით უკან დაგვხია და სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში შეგვიშალა ხელი. თუმცა, რეგულაციების დაცვით, მოსახლეობის სამსახურში ვიყავით. გასულ წელს საქართველოს საბიბლიოთეკო ფონდიდან საჩუქრად გადმოგვეცა 10 ათასი ლარის ვაუჩერი და ახალი წიგნებით მოვამარაგეთ საბიბლიოთეკო გაერთიანება, რომელიც დაბის 3 და სოფლის 22 ბიბლიოთეკას მოიცავს.

ინოვაციების ცენტრში რეგულაციების დაცვით იმართებოდა ონლაინ ტრენინგები და გარკვეული პერიოდულობით სკოლის მოსწავლეებისთვის ტარდებოდა 3D პრინტერზე მუშაობის და ლეგო რობოტების აწყობა-დაპროგრამების გაკვეთილები. პროგრამაში 50-მდე ბავშვი იყო ჩართული.

ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა რამდენიმე კულტურული ღონისძიება. რაც შეეხება უსინათლოთა პროგრამას, რომელიც რამდენიმე წელია, მიმდინარეობს ინოვაციების ცენტრში, გაზაფხულიდან განახლდება. პროგრამა 8-თვიანია და სწავლება საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მიერ მოწოდებული სასწავლო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. იმედი გვაქვს, რომ პროგრამას ახალი ბენეფიციარებიც დაემატებიან. გეტყვით, რომ წლებია, ეს პროგრამა ჩვენს რაიონში წარმატებით ფუნქციონირებს, რაც ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, დამსახურებაა. რეგულაციების დაცვით მუშაობს ასევე ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი და დამთვალიერებელთა მისაღებად ყოველთვის მზადაა.“

ცენტრის დირექტორი სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრება და ამბობს, რომ მნიშვნელოვან პროექტში-ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში-მონაწილეობის მისაღებად იწყებენ მზადებას.

„ღონისძიებაში მონაწილეობას საქართველოს ყველა კუთხიდან მიიღებენ. ჯერ შესარჩევი ეტაპი უნდა გავიაროთ, ხარაგაულში ჩამოვლენ ღონისძიების წარმომადგენლები და მოხდება ჩვენი კულტურული შემოქმედების დათვალიერება. დაგეგმილი გვაქვს, წარვადგინოთ ხალხური ანსამბლების ცეკვები, ქალაქური და ხალხური სიმღერები და სხვა. მათ მიერ შერჩეული ნომრები გაიგზავნება ქუთაისში, სადაც მთელი იმერეთის მასშტაბით, საუკეთესო ნომრები იქნება თავმოყრილი. იმედი გვაქვს, რომ მეორე ეტაპზეც ვიქნებით გამარჯვებულთა შორის და მოვხვდებით ფინალურ კონკურსზე, რომელიც თბილისში გაიმართება. მანამდე ბევრი მუშაობა და რეპეტიციების გავლა მოგვიწევს. შევეცდებით, ხარაგაული ღირსეულად წარვადგინოთ. მთავარია პანდემია დასრულდეს, რომ ხელი აღარ შეგვეშალოს დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში.

ნიკოლოზ მაჭავარიანი უახლოეს გეგმებზეც გვესაუბრება და აღნიშნავს, რომ აპრილის თვეში ბიბლიოთეკების კვირეულის ჩატარება იგეგმება, რომელშიც ყველა სოფლის ბიბლიოთეკა სხვადასხვა ღონისძიებით ჩაერთვება.

„გეგმაში გვაქვს, რომ განვაახლოთ პროექტი „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“. გასულ წლებში ჩამოგვყავდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მწერლები, მეცნიერები და ახალგაზრდებში მას დიდი დაინტერესება ჰქონდა. თუ პანდემია ხელს არ შეგვიშლის, ეს პროექტი კვლავ გაგრძელდება. მაისის თვეში პროექტი „მუზეუმების ღამე“ და ეროვნული სამოსის დღე ჩატარდება.

ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი წელსაც აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას იმერეთის თეატრალურ ფესტივალში. მაისის თვეში კი რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი ქალბატონი იზა ვეფხვაძე, კვლავ შემოგვთავაზებს პლენერ „გამას“ უმშვენიერეს პროექტს. რაც შეეხება სახელოვნებო წრეებს, მეცადინეობები უკვე განახლდა. დიდი იმედი მაქვს, წელს ყველა დაგეგმილ პროექტს შეუფერხებლად ჩავატარებთ.“ - აღნიშნავს ნიკოლოზ მაჭავარიანი.

მარიამ შარიქაძე

ბიუჯოს სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში მოისმინეს

ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხი მათ მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო მაღლაკელიძემ გააცნო. სხდომას ესწრებოდა მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ბიუჯეტის შესრულების პარამეტრებსა და იმ მნიშვნელოვან პროგრამებზე, რომლებიც გასულ წელს მუნიციპალიტეტში განხორციელდა. ვარლამ ჭიპაშვილმა ხაზგასმით განმარტა, რომ 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება საკმაოდ კარგია, გარდა ამისა, მაქსიმალურად მოხდა მოსახლეობის მხრიდან წამოსული საკითხების გათვალისწინება. „გასული წლის ბიუჯეტში ასახული ციფრები მეტყველებს, რომ პროგრესი გვაქვს როგორც შემოსულობების, ასევე დაგეგმილი პროგრამების დაფინანსების მხრივ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შემოსავლების შესრულების მხრივ გეგმა გადაჭარბებით -106,7%-ით შესრულდა. გეგმა ასევე გადაჭარბებით შესრულდა გადასახადებისა და არაფინანსური აქტივების კლებიდან.

საერთო ჯამში, შემოსულია 3 345 000 ლარით მეტი, რაც საკმაოდ სოლიდური თანხაა. რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, 2021 წელს წინა წელთან შედარებით 2 000 000 ლარით მეტი დავხარჯეთ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ასევე მილიონს გადააჭარბა სოციალური პროგრამების დაფინანსებამ და ამ მიმართულებით, 2020 წელთან შედარებით, 230 000 ლარით მეტი მიიმართა.“ - აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

როგორც ანგარიშში ვკითხულობთ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 8 018.9 ათასი ლარით. წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების თანახმად გაიზარდა 10 210.6 ათასი ლარით და განისაზღვრა 18 229,5 ათასი ლარით. მათ შორის, 9 080.3 ათასი ლარით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი და საკუთარი შემოსავლები - 715,0 ათასი ლარით.

ფაქტობრივად, 2021 წელს მუნიციპალიტეტმა მიიღო 19 448,0 ათასი ლარის შემოსულობები, აქედან 9 189,0 ათასი ლარის გადასახადები, 9 141,6 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები, 1 035,4 ათასი ლარის სხვა შემოსავლები და 82,0 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობები.

შემოსულობების გეგმა შესრულებულია 106,7 %-ით და მიღებულია 1 218, 4 ათასი ლარი, ხოლო 2020 წელთან შედარებით 3 345,0 ათასი ლარით მეტი.

რაც შეეხება გადასახდელებს, 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრებოდა 9 090,1

ათასი ლარით, რომლის დაფინანსების წყარო იყო ბიუჯეტის შემოსულობები 8 018,9 ათასი ლარი და 2021 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ნაშთი 1071,2 ათასი ლარი. წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შედეგად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში გაიზარდა 13 023,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 22 113.1 ათასი ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის მთავარ პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს, რისთვისაც 2021 წელს გათვალისწინებული იყო 12 878,9 ათასი ლარის დახარჯვა. ფაქტობრივად დახარჯულია 11 344,4 ათასი ლარი და გეგმა შესრულებულია 88,1 %-ით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით 2020 წელთან შედარებით 2 729,8 ათასი ლარით მეტი დაიხარჯა.

გზების კაპიტალურ შეკეთებაზე დაგეგმილი 9 934,1 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 9 450,3 ათას ლარზე და გადარიცხულია 8 725,5 ათასი ლარი;

გზების მიმდინარე შეკეთებაზე დაგეგმილი 305,1 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 279,9 ათას ლარზე და გადარიცხულია 269,4 ათასი ლარი;

ხიდების რეაბილიტაციაზე გათვალისწინებული 760,6 ათასი ლარიდან ათვისებულ იქნა 648,7 ათასი ლარი. აქედან, სახელმწიფო ფონდების სახსრებით გათვალისწინებული იყო 679,8 ათასი ლარი, ვალდებულება აღებულია 650,7 ათას ლარზე, ფაქტობრივად გაწეულია 635,9 ათასი ლარის ხარჯი. ხოლო საკუთარი სახსრებიდან გათვალისწინებული 80,8 ათასი ლარიდან აღებულია 39,9 ათასი ლარის ვალდებულება და ანაზღაურებულია 12,7 ათასი ლარი.

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებაზე მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 20,0 ათასი ლარიდან დახარჯა 15,2 ათასი ლარი;

წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლუატაციაზე გეგმით გათვალისწინებული 151,728 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 135,670 ათას ლარზე და ფაქტობრივად გადარიცხულია 121,882 ათასი ლარი.

სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოწყობა-გაწმენდაზე, საქართველოს მთავრობის N 330 განკარგულებით გამოიყო 22,376 ათასი ლარი, ვალდებულება აღებულია 12,276 ათას ლარზე და გადარიცხულია 11,919 ათასი ლარი, რითაც მოხდა სოფელ მარელისში მდინარე ქუნცურის კალაპოტის გაწმენდა;

გარე განათების ქსელის ექსპლუატაციაზე დაგეგმილი 232,2 ათასი ლარიდან, ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ მიერ დახარჯულია 227,4 ათასი ლარი, აქედან ელექტროენერგიის საფასურის დასაფარავად - 107,8 ათასი ლარი;

კეთილმოწყობაზე დაგეგმილი 18,867 ათასი ლარი სრულად დაიხარჯა, რომელიც მოხმარდა „დევების“ სკვერის პროექტის შესყიდვას;

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დაგეგმილი 1 143,590 ათასი ლარიდან, ვალდებულება აღებულია 1 078,125 ათას ლარზე და გადარიცხულია 1 060,489 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მერიამ თანადაფინანსება გაიღო პროექტებზე და საკუთარი სახსრებით დაგეგმილი 222,2 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულ იქნა 207.0 ათას ლარზე. ფაქტობრივად გაწეულია 203,0 ათასი ლარის სამუშაოები, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 192,2 ათასი ლარით მეტი.

დასუფთავებისა და ნარჩენების გატანაზე მუნიციპალიტემა 2021 წელს დაგეგმილი 1 166,0 ათასი ლარიდან დახარჯა 1 130,0 ათასი ლარი, 2020 წელთან შედარებით 182,1 ათასი ლარით მეტი. გაწეული ხარჯებიდან უშუალოდ ნარჩენების გატანაზე დახარჯულია 941,0 ათასი ლარი, მწვანე ნარგავების მოვლაზე 178,7 ათასი ლარი და მიუსაფარი ცხოველების მოვლაზე -10,3 ათასი ლარი.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა - მუნიციპალიტეტში სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანებამ 2021 წელს გასწია 1 531,2 ათასი ლარის ხარჯი, აქედან არაფინანსური აქტივების ზრდაზე 53,1 ათასი ლარი, ამასთან მუნიციპალიტეტმა საკუთარი სახსრებით ბაღების რეაბილიტაციაზე დახარჯა 14,6 ათასი ლარი;

ბორის საჯარო სკოლის სუბსიდირებაზე დახარჯა 84,0 ათასი ლარი;

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე -11,5 ათასი ლარი;

კულტურა, რელიგია, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებზე-დაგეგმილი 1338,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 1299,9 ათასი ლარი.

ამ პროგრამის განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ აქტივობაში. პანდემიის მიუხედავად, მოხერხდა რიგი სპორტული ღონისძიების ჩატარება, გაიზარდა ქორეოგრაფიულ, მუსიკალურ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე ჩართული ბავშვების რაოდენობა, თუმცა პანდემიით გამონვეული შეზღუდვების გამო, 2021 წელს აღნიშნული აქტივობების სრულყოფილად ჩატარება მაინც ვერ მოხერხდა.

სპორტის განვითარებაზე 2021 წელს დაგეგმილი 382,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 375,9 ათასი ლარი, აქედან 374,0 ათასი ლარი დაიხარჯა სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე.

კულტურის სფეროს განვითარებაზე დაგეგმილი 830,7 ათასი ლარიდან ათვისებულია 821,2ათასი ლარი. აქედან: სამუსიკო სკოლაზე მიიმართა 122,1 ათასი ლარი, მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრზე - 59,0 ათასი ლარი, კულტურისა და ხელოვნების ცენტრი - 671,7 ათასი ლარი, ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამაზე- 20,7 ათასი ლარი, კულტურულ ღონისძიებებზე - 6,7 ათასი ლარი.

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე გათვალისწინებული 18,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 13,9 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად დაიხარჯა საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონის“ ორგანიზებისა და პროექტში გამარჯვებული მოსწავლეების დასაჯილდოებლად.

რელიგიის დაფინანსებას 2021 წელს 30.0 ათასი ლარი მოხმარდა, რომელიც მიიმართა დაბის საკათედრო ტაძრის შიგა კეთილმოწყობის სამუშაოებზე;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 1 385,3 ათასი ლარიდან დაიხარჯა 1 359, 8 ათასი ლარი, რაც 2020 წელთან შედარებით 219,2 ათასი ლარით მეტია.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 151,2 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტში არსებული ამბულატორიების ინტერნეტით უზრუნველსაყოფად - 1,0 ათასი ლარი;

8,0 ათასი ლარით შეძენილ იქნა სოფელ ხევში მიწა ახალი ამბულატორიის ასაშენებლად;

სათნოების სახლს გადაერიცხა 129 ათასი ლარი;

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაზე გაიცა - 437,6 ათასი ლარი;

ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე-231,7 ათასი ლარი;

სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დასახმარებლად – 162,880 ათასი ლარი.

რაც შეეხება მერის სარეზერვო ფონდს, დახარჯულია 43 281 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სოციალურ პროგრამებზე მიიმართა. მათ შორის:

9,681 ათასი ლარი სამკურნალო-საოპერაციო დახმარების პროგრამაში;

5,6 ათასი ლარი ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე;

28,0 ათასი ლარი სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დასახმარებლად.

ეკა შავიძე

ხაშური-ზესტაფონის საბაჯეშენო მაუსაჯეველში საღეზინფექციო საქმიანობები განხორციელდა

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ხაშური-ზესტაფონის საგარეუბნო მატარებელში სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა.

აღნიშნული სამუშაოები ა(ა) იპ „ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ორგანიზებით განხორციელდა.

როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ალექსანდრე ტაბატაძე განმარტავს, სამსახურმა უზრუნველყო სადეზინფექციო საშუალებების შეძენა და სპეციალური ხსნარებით დამუშავდა, როგორც მგზავრთა სავარძლები, ასევე ვაგონის მთელი სივრცე.

ალექსანდრე ტაბატაძის ინფორმაციით, ვირუსული ინფექციის გავრცელების შესამცირებლად და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, სადეზინფექციო სამუშაოები ხაშური-ზესტაფონის საგარეუბნო მატარებელში სამომავლოდაც განხორციელდება. ასევე მკაცრად კონტროლდება პირბადის ტარება და ყოველდღიურ რეჟიმში ტარდება თერმოსკრინინგი.

მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის საბავშვო ბაღებში არსებულ ვითარებას გაეცნო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი და საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მარინე ხვედელიძე ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას სტუმრობდნენ.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაეცნენ, თუ როგორ მიმდინარეობს პანდემიის პირობებში საალმზრდელო პროცესი, როგორია დასწრება, ჰიგიენური ნორმები, ბაღის აღსაზრდელთა მენიუ და ადრეული განათლების კურიკულუმი.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სასწავლო-საალმზრდელო პროცესი ხარაგაულის 21-ვე ბაღში კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით მიმდინარეობს და მაქსიმალურად დაცულია უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმები. რაც შეეხება დასწრებას, ქვეყანაში არსებულ ეპიდვითარებიდან გამომდინარე, შემცირებულია, თუმცა მოლოდინია, რომ მარტის თვიდან მოიმატებს. საუბარი შეეხო კვების რაციონსაც, რომელიც ხარაგაულის საბავშვო ბაღებში საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს ყველა იმ საჭირო საკვებ პროდუქტს, რაც აუცილებელია ბავშვის სრულფასოვანი ზრდა-განვითარებისათვის.

მისასალმებელია, რომ ამჯერად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 21 საბავშვო ბაღი და ერთი სასკოლო მზაობის ჯგუფი ფუნქციონირებს. მთლიანად გაერთიანებაში 540 აღსაზრდელი ირიცხება, რაც შეეხება თანამშრომლებს, მათი რაოდენობა 268-ს შეადგენს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ამბობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის მომავალი თაობის აღზრდა-განათლება პრიორიტეტია. მისივე თქმით, ის სისტემატურად ახორციელებს მონიტორინგს თავის საკურატორო სფეროს სამსახურებზე.

„შეხვედრის მიზანი პანდემიის პერიოდში გაწეული საქმიანობისა და არსებული გამოწვევების შეჯერება გახლდათ. ჩვენი სურვილია, აღსაზრდელები უზრუნველყოფილნი იყვნენ ხარისხიანი მომსახურებით და ჰქონდეთ ყველა საჭირო რესურსზე ხელმისაწვდომობა. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ხარაგაულის ყველა საბავშვო ბაღი გამართულად მუშაობს და რაიმე სერიოზულ ხარვეზს ადგილი არ აქვს. გარემო, სადაც ბავშვი იღებს განათლებას, უნდა იყოს ჯანსაღი, უსაფრთხო, მშვიდი. ვფიქრობ, ამისთვის აქ ყველა პირობაა შექმნილი, რისთვისაც მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელობას, ადმინისტრაციასა და აღმზრდელ-პედაგოგებს. მიხარია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების რაოდენობამ მოიმატა. აშენდა თხუთმეტი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი ბაღი, რამდენიმეს კი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. ყოველწლიურად იზრდება ბაღების დაფინანსება. გასულ წელთან შედარებით, 71 000 ლარით მეტი სუბსიდია მიიღო სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებამ და, საერთო ჯამში, 1 630 000 ათას ლარს გადააჭარბა. გაზრდილი ბიუჯეტით მოხდა აღმზრდელ-პედაგოგების სახელფასო ანაზღაურების მატება, ასევე დაიგეგმა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტი.

საინტერესო სიახლეა, რომ იმერეთში პირველად ხარაგაულის ბაღები, გადავიდნენ „ჰასპის“ მეთოდზე, რაც სურსათის უვნებლობის ახალი სტანდარტის დანერგვას გულისხმობს. ეტაპობრივად ტარდება შესაბამისი ტრენინგები და ახლო პერიოდში სურსათის უვნებლობის გაძლიერებული პირობები მუნიციპალიტეტის ყველა ბაღში სრულყოფილად დაინერგება.

სიახლეა ისიც, რომ დაბის პირველი საბავშვო ბაღის ყველა ჯგუფში დამონტაჟდა ვიდეოთვალი. სისტემატურად ხდება პედაგოგების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რაც სწავლების ახალი სტანდარტების დანერგვას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას კიდევ ერთი ახალი ბაღი დაემატება. აქტიურად მიმდინარეობს ხუნევის სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობა, რომელიც საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, 619 170 ათასი ლარით დაფინანსდა.“-აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლიდან დღემდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღები აშენდა:

ვახანში - პროექტის ღირებულება 119200 ლარი;

ვარძიაში - პროექტის ღირებულება 119200 ლარი;

კიცხში-პროექტის ღირებულება 119200 ლარი;

ლეღვანში - პროექტის ღირებულება 119200 ლარი;

ხიდარში - პროექტის ღირებულება 105800 ლარი;

წყალაფორეთში-პროექტის ღირებულება 117500 ლარი;

ზვარეში - პროექტის ღირებულება 49200 ლარი;

ნადაბურში - პროექტის ღირებულება 200 800 ლარი;

ხევში-პროექტის ღირებულება 88700 ლარი;

ღორეშაში-პროექტის ღირებულება 66 000 ლარი;

წიფაში-პროექტის ღირებულება 110500 ლარი;

საღანძილეში - პროექტის ღირებულება 720000 ლარი;

ვერტყვიჭალაში - პროექტის ღირებულება 720000 ლარი;

სარგვეშში - საჯარო სკოლის შენობაში რამდენიმე ოთახს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, სადაც განთავსდა საბავშვო ბაღი. პროექტის ღირებულება 12000 ლარი;

გედსამანიაში - საჯარო სკოლის შენობაში ასევე რამდენიმე ოთახს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, სადაც განთავსდა საბავშვო ბაღი. პროექტის ღირებულება 14500 ლარი.

ეკა შავიძე

კიცხი-ზესტაფონის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

ზესტაფონი-კიცხი-ხარაგაულის საავტომობილო გზის 21-კილომეტრიანი მონაკვეთის სრული კაპიტალური რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია. სამუშაოები ყოველდღიურ რეჟიმში ინტენსიურად მიმდინარეობს და ბეტონის საფარის პირველი ფენის დაგება თითქმის დასრულებულია.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, შპს „New Road“ ახორციელებს. პროექტის ღირებულება 14 288 888 ათასი ლარია, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაფინანსდა.

ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინფორმაციით, ბოლო 9 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოსანესრიგებლად 150 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

„ხარაგაულში ისტორიას არ ახსოვს, იმდენი ფინანსები მოხმარებოდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, როგორც ეს ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ხდება. რა თქმა უნდა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მაგრამ ძირითადად ცენტრალური გზები მოვიცავით და ახლა ჩიხებსაც მივხედავთ. როდესაც კიცხი-ზესტაფონის გზის რეაბილიტაცია დაანონსდა, საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეს რეალობად მიიღო და მეორე ნაწილმა-წინასაარჩევნო დაპირებად. ფაქტი სახეზეა, რომ პროექტის განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს და სულ მალე ჩვენ გვექნება 25-კილომეტრიანი მოასფალტებული გზა, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოეწყობა და მოემსახურება ხარაგაულის მოსახლეობას."-აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

ეკა შავიძე

ინტერვიუ ფარცხნალის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელ უკვე ერთი წლის განმავლობაში

ფარცხნალის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლად უკვე ერთი წელია, რაც ავთანდილ თაბუკაშვილი დაინიშნა. იგი ფარცხნალში დაიბადა და გაიზარდა. დაამთავრა დაბის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, (ამჟამად ილიას უნივერსიტეტი) და დაოჯახებიდან დღემდე ფარცხნალში ცხოვრობს. იგი ფარცხნალის სკოლაში ფიზიკის, ხაზვის და შრომის პედაგოგად 28 წელი მუშაობდა, არის არაერთი ღირსეული თაობის აღმზრდელი. ჰყავს მეუღლე, 2 შვილი და 4 შვილიშვილი. არის განსაკუთრებულად შეყვარებული მშობლიურ ფარცხნალზე და ფარცხნალელებზე. რა არის მისი, როგორც მერის წარმომადგენლის, პრიორიტეტი და როგორია სამომავლო გეგმები, ამის შესახებ ბატონი ავთანდილი პირადად გვესაუბრა.

- მერის წარმომადგენლად მუშაობა სოფელში, რომელმაც უამრავი გამოჩენილი ადამიანი გაზარდა, დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის მაქსიმალურად ყველაფერს ვაკეთებთ. სოფელში თითქმის მობეტონებულია საუბნო გზები, მოწყობილია გარე განათება, ხელმისაწვდომია გაზი და წყალი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფარცხნალის ადმინისტრაციული ერთეული, რომელშიც შედის: ფარცხნალი, ახალსოფელი, ღუდუმექეთი და ისლარი, სრულად მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურის მხრივ, რაც ადგილობრივი მთავრობის დამსახურებაა.

-რამდენად ხშირად გაქვთ ურთიერთობა ფარცხნალის თემის მოსახლეობასთან და რა არის ის ძირითადი პრობლემები, რაზეც მოგმართავენ ადამიანები?

თემში დაახლოებით 700-მდე ადამიანი ცხოვრობს. მათი ძირითადი გასაჭირი უმუშევრობაა ისევე როგორც სხვა სოფლებსა თუ რაიონებში. პრობლემა იყო ისიც, რომ ადამიანებმა ნაკლებად იცოდნენ სხვადასხვა სოციალური დახმარებისა და გრანტების არსებობის შესახებ და არ ჰქონდათ ინფორმაცია, თუ როგორ უნდა ესარგებლათ იმ დახმარებებით, რომელსაც სახელმწიფო გასცემს ხალხის საკეთილდღეოდ. ამის გამოსასწორებლად კი მე ვმუშაობ, რომ მაქსიმალურად მივაწოდო ინფორმაცია და ის სიკეთეები მივიტანო ხალხთან, რაც ცენტრალური ხელისუფლებიდან მოდის. მოსახლეობაში პრობლემაა ასევე ინტერნეტ-ყეზე წვდომა. მოსახლეობიდან წამოსულ დახმარების თხოვნას ჩვენი მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა აქვს და ყველას ვეხმარებით კანონის ფარგლებში.

- ბატონო ავთანდილ, ფარცხნალის ადმინისტრაციული ცენტრის მცხოვრებლები რამდენად სარგებლობენ მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დახმარების პროგრამით?

ყველაზე მეტი მომართვა მოდის სოციალური დახმარების თაობაზე. ეს იქნება მედიკამენტების დაფინანსება, ერთჯერადი ფინანსური დახმარება თუ საოპერაციო ხარჯების დაფინანსება, ადგილობრივი მთავრობა მაქსიმალურად ყველას ეხმარება და არ ხდება ადამიანების შერჩევა მათი შეხედულებების მიხედვით. გარდა ამისა. დავაფინანსეთ ის ოჯახები, რომლებსაც სტიქიის შედეგად დაუზიანდათ სახლები.

- რომელი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა ბოლო წლებში და რა არის სამომავლოდ დაგეგმილი?

მოგეხსენებათ, რომ სოფელში, იყო სასმელი წყლის პრობლემა და თვითდინებით არ მიეწოდებოდათ წყალი. ახლა კი სპეციალური რეზერვუარების საშუალებით წყალზე ხელმისაწვდომობა აქვთ. წელს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი იყო სოფლის გაზიფიცირება. ფარცხნალის ადმინისტრაციული ერთეული სრულად გაზიფიცირებულია, დარჩენილია სოფელი ღუდუმექეთი და ფარცხნალის რამდენიმე ოჯახი. მათი გაზიფიცირება უახლოეს პერიოდში იგეგმება.

სულ მალე დაიწყება სამუშაოები სოფელ ახალსოფლიდან თეთრაწყარის მიმართულებით ერთ კილომეტრიან გზაზე და ცენტრალური გზა სრულად იქნება მობეტონებული.

მინდა გითხრათ, რომ დიდთოვლობის პერიოდში ერთი დღეც არ ყოფილა გზები ჩაკეტილი და ხდებოდა გზების გაწმენდა. ყველაფერს აკეთებს მერია, რომ ჩვენი მოსახლეობა, რაც შეიძლება, კომფორტულად იყოს.

- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, რა მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა ფარცხნალის ადმინისტრაციულ ერთეულში და რამდენად აქტიურად იღებდა მონაწილეობას მოსახლეობა სოფლის კრებებში?

სასიხარულოა, რომ გასულ წელს სოფლის კრებებში მოსახლეობა აქტიურად ერთვებოდა. მათივე გადაწყვეტილებით მოეწყო გარე განათებები, ხიდების მოაჯირები, გზები, სასმელი წყლის სისტემები, სოფელ ისლარში გაკეთდა 2 ხიდბოგირი. ნელსაც, რასაც გადაწყვეტს და ისურვებს მოსახლეობა, სწორედ ის პროექტები განხორციელდება სოფელში.

- რამდენად ხშირად სტუმრობს დამთვალიერებელი ევგენი ხარაძის სახლ-მუზეუმს ეწყობა თუ არა კულტურული ღონისძიებები?

პანდემიის პირობებში წინა წლებთან შედარებით, რასაკვირველია, შემცირებულია დამთვალიერებელი. თუმცა პერიოდულად მაინც მოდიან დაინტერესებული ადამიანები, იწერენ ინტერვიუებს და გვეკითხებიან სამომავლო გეგმებზე. აქვე გეტყვით, რომ გამორჩეულად დასამახსოვრებელი ღონისძიება გამართა რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ. მოეწყო წიგნის პრეზენტაცია და ფილმის „გალაკტიონის ნატერფალებზე“ ჩვენება, რომელსაც ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, ფარცხნალის მოსახლეობა და დაინტერესებული ადამიანები ესწრებოდნენ.

- და ბოლოს, რას ეტყოდით მოსახლეობას?

ბევრი გამოჩენილი ადამიანი დამატებოდეს ფარცხნალს. ჯანმრთელობას და ღმერთის მფარველობას ვუსურვებ ფარცხნალის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებს.

მშვიდობას ვუსურვებ უკრაინას და უკრაინელ ხალხს.

მარიამ შარიქაძე

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიშს დეპუტატები ბიუროს სხდომაზე გაეცნენ

21 თებერვლის ბიუროს სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2021 წლის იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ამავე სამსახურის უფროსმა კახაბერ გოლუბიანმა წარმოადგინა.

მომხსენებლის ინფორმაციით, 2021 წლის 11 ივნისიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ მუშაობა განაახლა ახალ საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში- „MSDA“.

2021 წლის 1 იანვრიდან დღემდე მერიაში შემოსულია 6731 კორესპონდენცია. მიღებულ კორესპონდენციებზე პასუხების გაცემა ხდება კანონით დადგენილ ვადებში. გასული დოკუმენტების რაოდენობაა 6417.

როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ: საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ადმინისტრირებას უწევს ვებ-გვერდს www.kharagaulinews.gov.ge, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში ქვეყნდება

ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკურ, ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სპორტულ, თუ სხვა სახის ღონისძიებების შესახებ. ასევე ხდება სოციალური ქსელების (მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის და ჯგუფის) ადმინისტრირება. იქმნება მონაცემთა ბაზა მერიის საქმიანობის განხორციელებისას დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე, იქმნება არქივი და ხდება ინფორმაციის ანალიზი.

2021 წელს ხარაგაულის მერიამ მოქალაქეებს შესთავაზა ახალი ელექტრონული პლატფორმა, „მოქალაქეთა უკუკავშირი /Citizens feedback“, რომელიც ვებ-გვერდზე kharagaulinews.gov.ge განთავსდა. ახალი ონლაინ პლატფორმის მიზანია, მოქალაქეების მხრიდან შეფასდეს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სერვისები და პროგრამები.

განყოფილება აქტიურად იყო ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში. 2021 წელს მოხდა 119 განაცხადის დამუშავება. ასევე იურიდიული განყოფილება აქტიურადაა ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით შექმნილ საბჭოს მუშაობაში, 2021 წელში მოხდა 195 საქმის განხილვა.

ხარაგაულის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ ფუნქციონირება დაიწყო 2021 წლის პირველი აპრილიდან და დღემდე, მომართვიანობის საფუძველზე, განყოფილებაში განხილულია 20 ქეისი.

მერიის ადმინისტრაციული სამსახური აწარმოებს საკადრო საკითხებთან დაკავშირებით პირად საქმეებს, ამზადებს სამართლებრივი აქტების პროექტებს, ამოწმებს მოსამსახურეების მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულეს და შესაბამისობას. აღრიცხავს და კონტროლს უწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვას.

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიშს დეპუტატები 7 მარტის საკრებულოს სხდომაზე შეაფასებენ.

მარიამ შარიქაძე

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი პრემიერისთვის ემზადება

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი პრემიერისთვის ემზადება, ამის შესახებ ინფორმაციას თეატრის რეჟისორი ირინე ჩხეიძე გვაწვდის. მისივე თქმით, თოჯინების თეატრი მონატრებულ პატარა მაყურებლებთან ცნობილი საბავშო მწერლის, გივი ჭიჭინაძის პიესის „იისფერას“ მიხედვით დადგმული სპექტაკლით აპრილის თვეში წარდგება. გარდა ამისა კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი მრავალფეროვან კულტურულ ღონისძიებებსაც აანონსებს და წელს ხარაგაულელებს საინტერესო სიახლეებს ჰპირდება.

„გახანგრძლივდა პანდემიის პერიოდი და არაერთი ღონისძიების ჩატარებაში შეგვიშალა ხელი. ვფიქრობ, მალე გამოვალთ ამ მდგომარეობიდან და დავიწყებთ აქტიურ კულტურულ ცხოვრებას. თოჯინების თეატრის დასმა უკვე დავიწყეთ

მუშაობა პრემიერისათვის. სპექტაკლი „იისფერა“ ქვეყნის მასშტაბით ბევრ თეატრს აქვს დადგმული და ბავშვებში დიდი სიყვარულით სარგებლობს. იმედი მაქვს, ხარაგაულელ ბავშვებსაც ძალიან მოეწონებათ. გარდა ამისა, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი სპექტაკლ „იმერული რეკვიემის“ ჩვენებას წელსაც გამართავს. სამწუხაროა, რომ რთული ეპიდვითარების გამო იმდენჯერ ვერ წარვდექით ხარაგაულელ მაყურებელთა წინაშე, როგორი მოთხოვნაც იყო. „იმერული რეკვიემის“ ჩვენება დაგეგმილია ასევე ქალაქ თბილისში. დიდი სურვილი გვაქვს გავააქტიუროთ პროექტი „თეატრი სკოლისათვის“ და სკოლის მოსწავლეებისთვის სრულიად უფასოდ გავმართოთ „დარისპანის გასაჭირის“ ჩვენება. იმედს გამოვთქვამ, პედაგოგები ამ იდეას მხარს დაუჭერენ და დაგვეხმარებიან, რომ ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის ერთ-ერთ წარმატებული სპექტაკლი მათმა მოსწავლეებმა ნახონ. პროექტი „თეატრი სკოლისათვის“ მრავალი წელია, წარმატებით ვახორციელებდით და არაერთი სპექტაკლი ჩაგვიტარებია.

ტრადიციულად მივიღებთ მონაწილეობას „იმერეთის თეატრალური ფესტივალზე“ რისთვისაც მზადებას უახლოეს პერიოდში დავიწყებთ. გაზაფხულიდან კი კულტურის სამსახურის ორგანიზებით პროექტი „მხიარული სტარტები“ დაიწყება, რომელშიც მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა ჩაერთვება და ფინალურ ეტაპზე გამოვლინდება გამარჯვებული.

წელს ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე „ეროვნული ფოლკლორის ფესტივალში“ ჩართვაა. აღნიშნული პროექტი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით ტარდება. მინდა გითხრათ, რომ ხარაგაული მრავალმხრივ წარმოჩინდება ამ ფესტივალზე. ნაჩვენები იქნება ხალხური შემოქმედება, ადგილობრივი რეწვის ნიმუშები, ზალიკო ბოჟაძის ქვევრები, შესარჩევ ეტაპზე ვაჩვენებთ ასევე ორიგინალურ ჟანრს და ზეპირსიტყვიერების კუთხითაც მივიღებთ მონაწილეობას. ვფიქრობ, რომ ამ ფესტივალზე ისე წარვდგებით, როგორც ხარაგაულს შეეფერება.“ -აღნიშნავს ირინე ჩხეიძე.

მარიამ შარიქაძე

შენმა წარმატებამ ძალიან გაგვახარა, ჩვენო ნინო!

გოგონა, რომლის სპორტში წარმატებაზე გიამბობთ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვების მკვიდრი ნინო ჭყოიძეა. წუთისოფლის უსამართლობით ექვსი თვის ასაკში დაობლებულ გოგონას თავს ევლებოდნენ: მამა, მამიდები, ბიძა, საფიცარი ეთო ბიცოლა (ქალბატონი ეთერ რობაქიძე-ჭყოიძე), საახლობლო და სანათესაო...

ნინოს ადრეული ბავშვობიდანვე სპორტული თამაშობები იზიდავდა და, როცა წამოიზარდა, მასში აშკარად გამოიკვეთა დიდი სპორტით გატაცება. სწავლობდა მოლითისა და მარელისის საჯარო სკოლებში. (დირექტორები: როლანდ ცუცქირიძე, ვერა ოდიკაძე). ქალბატონმა ვერამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: „ნინო ჭყოიძე ჩვენი სკოლის წარმატებული მოსწავლე იყო სპორტის ყველა მიმართულებაში, რაც სკოლაში ტარდებოდა, ყოველთვის ცდილობდა, აქტიური სპორტული ცხოვრებით ეცხოვრა. ამავე დროს იყო ინიციატორი სკოლაში სხვადასხვა შეჯიბრის ჩატარებისა. ნინო ძალიან ყურადღებიანი, გულისხმიერი, შრომისმოყვარე და საოცრად თბილი ახალგაზრდაა. ჩვენ ხშირად გვქონია მეგობრული და ღია საუბრები.

რადგან ნინოს დედა არ ჰყავდა, სულ ვცდილობდი, ჩემში აღმოჩინა დასაყრდენი ადამიანი. მახარებს მისი წარმატებები სპორტულ კარიერაში. მჯერა, ის შეძლებს, სათანადო ადგილი დაიმკვიდროს ცხოვრებაში. მეამაყება ყველა მისი მიღწევა. მინდა, მივულოცო გამარჯვება და გზა დავულოცო მომავალი წარმატებებისაკენ.“

ნინო ჯერ კარატეს სექციაში გაერთიანდა ხარაგაულში, შემდეგ კი ძიუდოს ილეთების დაუფლებისაკენ აიღო გეზი (მწვრთნელი ზაზა ბერაძე). ახლობლები ეჭვით უყურებდნენ მის არჩევანს და ხშირად საყვედურობდნენ - რა გოგოს საქმეა ჭიდაობა, სხვა ვერაფერი მონახე შესაფერისი?

- მერე რა რომ გოგო ვარ - პასუხობდა ნინო- განა ქალიშვილებს ვაჟკაცებზე ნაკლებად შეუძლიათ, იპოვონ საკუთარი თავი დასახული მიზნით? ხელს ნუ შემიშლით - დაწყებით კლასებში ჩემი ქართულის მასწავლებელმა ტყუილად კი არ გვასწავლა „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნე - „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია.“ - ჰოდა, ჩემს გატაცებას ნუ ჩამიკლავთ, პირიქით - გამამხნევეთ, გვერდში დამიდექით, ხელი შემიწყვეთ და ნახეთ, თუ არ გაგახაროთ...

და უკვე სახეზეა „გახარების“ პირველი ნაბიჯები...

VIII კლასში ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა გია ჭყოიძემ მონაწილეობა მიაღებინა მკლავჭიდში რაიონულ პირველობაზე და ნინომ პირველი ადგილი მოიპოვა.

IX კლასიდან ნინო თბილისში გადავიდა სასწავლებლად, რომ უფრო ფართო ასპარეზი ჰქონოდა თავისი მიზნების სარეალიზაციოდ.

ამჟამად ნინო თბილისის 36-ე საჯარო სკოლის IX კლასში სწავლობს (დირექტორი მაია კვინიკაძე) და პროფესიონალი მწვრთნელის, ბათო ჯიქურის, მეშვეობით დღითი დღე ხვეწს ძიუდოს ილეთებს. წარმატებამაც არ დააყოვნა - 19 თებერვალს ქალაქ გორში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში გოგონათა შორის და ნინო მესამე ადგილის მფლობელი გახდა.

- უკეთეს შედეგს მოველოდი, მაგრამ ჩემი ბრალია -გაფრთხილებები მივიღე და ... მესამე ადგილით დავკმაყოფილდი... მაშინვე გამოვეშურე ჩემი სოფლისკენ და, ჩემი სიხარული და წარმატება, დაპირებისამებრ, პირველად ჩემს უსაყვარლეს ეთო ბიცოლას ვახარე...

ცნობილი სამხედრო სტრატეგი ამბობდა: „ის რა ჯარისკაცია, რომელიც გენერლობაზე არ ფიქრობს.“ ეს ფრაზა ნამდვილად მიესადაგება ნინოს სამომავლო მიზნებს: ოცნებობს, გახდეს პირველი ქართველი ოლიმპიელი ქალი ძიუდოში, გაახაროს თავისი საახლობლო, თანამდგომი ადამიანები, თავისი მშობლიური სოფელი ქვები, აღმზრდელი სკოლა და თავისი ხარაგაული...

ოცნების ასრულებას, ჯანმრთელობას, სიკეთისკენ სწრაფვას გისურვებთ, ჩვენო საყვარელო ნინო!

ღვთისმშობლის მადლმა გააბრწყინოს შენი სამომავლო გზები, შენი დღე ხვალინდელი!

ამინ!

მერი გიორგიძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ: 595-51-98-12